

ზაზა თავაძე

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე

აკადემიური საქმიანობა და გამოვლენილი თვისებები/ქცევა	2
პროფესიულ საქმიანობაში გამოვლენილი გადაცდომები (დისციპლინური წარმოება, პროფესიული ეთიკა)	11
დაწინაურებები და პროფესიული საქმიანობისთვის მინიჭებული ჯილდოები / სტიპენდიები	11
კანონთან კონფლიქტი, ინტერესთა კონფლიქტი	12
კანდიდატის საჯარო აქტივობები / პოზიციები და ქცევა	13
კანდიდატის ფინანსური ვალდებულებები და შემოსავლები	18

2004-2008 წლებში ზაზა თავაძე მუშაობდა საქართველოს გენერალური პროკურატურის საკადრო უზრუნველყოფის დეპარტამენტის უფროსის მოადგილედ, შემდეგ – ამავე დეპარტამენტის უფროსად, 2008-2010 წლებში კი გახლდათ საქართველოს იუსტიციის მინისტრის მოადგილე; 2010 წლიდან იგი საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეა; ამასთანავე, 2016 წლამდე იყო ამ სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე, 2016 წლის 20 ოქტომბრიდან კი თავმჯდომარეობს მას.

ღია საზოგადოების ფონდი

1. კანდიდატის პროფესიული/ აკადემიური საქმიანობა და გამოვლენილი თვისებები/ქცევა

1. გადაწყვეტილებები, განსხვავებული აზრი, სასამართლო წარდგინებები

1.1. სამართლებრივად საინტერესო ან პრეცედენტული გადაწყვეტილებები

სამართლებრივი საკითხი: გამოხატვის თავისუფლება. შეკრებისა და მანიფესტაციის თავისუფლება.[1]

ფაქტები: მოცემულ საქმეში მოსარჩელეები დავობდნენ „შეკრებისა და მანიფესტაციების შესახებ" საქართველოს კანონის სხვადასხვა ნორმის კონსტიტუციურობაზე. სასამართლომ სადავო ნორმების უმრავლესობა არაკონსტიტუციურად მიიჩნია კონსტიტუციით გარანტირებულ გამოხატვისა და შეკრების და მანიფესტაციის უფლებებთან მიმართებით.

საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმმა, კანდიდატის მონაწილეობით, განმარტა და გამოკვეთა არაერთი მნიშვნელოვანი სამართლებრივი საკითხი, რომელთაგანაც ამ დოკუმენტში რამდენიმეზე გამახვილდება ყურადღება:

სამართლებრივი საკითხი: შეკრებისა და მანიფესტაციის შეწყვეტის საფუძვლების არაკონსტიტუციურობა.

- „სადავო ნორმა კანონდარღვევით მიმდინარე შეკრების (მანიფესტაციის) შეწყვეტას ითვალისწინებს გაფრთხილების მიცემისა და კანონის მოთხოვნათა დაცვით გაგრძელების შესაძლებლობის გარეშე. საკონსტიტუციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში, კანონმდებლის მიერ შერჩეულია ლეგიტიმური მიზნის მიღწევის არაპროპორციული საშუალება".

აღნიშნული მსჯელობის საფუძველზე, სასამართლომ ნორმა, ასეთი შინაარსით, არაკონსტიტუციურად ცნო.

სამართლებრივი საკითხი: არ შეიძლებოდა, შეკრებებისა და მანიფესტაციების ორგანიზებაზე პასუხისმგებელი ყოფილიყო საქართველოს მოქალაქეობის არმქონე პირი.

სასამართლომ საკითხის მსგავსი რეგულირება არაკონსტიტუციურად მიიჩნია და აღნიშნა, რომ:

- „საქართველოს კონსტიტუცია ითვალისწინებს საქართველოს მოქალაქეობის არმქონე პირების პოლიტიკურ საქმიანობაში შეზღუდვის შესაძლებლობას, მაგრამ სადავო ნორმის მიღების ლეგიტიმური მიზანი

[1] **საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 აპრილის 2/482,483,487,502 გადაწყვეტილება საქმეზე „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „მოძრაობა ერთიანი საქართველოსთვის", მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „საქართველოს კონსერვატიული პარტია", საქართველოს მოქალაქეები – ზვიად ძიძიგური და კახა კუკავა, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, მოქალაქეები – დაჩი ცაგურია და ჯაბა ჯიშკარიანი, საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ".**

ვერ დაეფუძნება საქართველოს კონსტიტუციის 47-ე მუხლს, მაშინ, როდესაც საქართველოს მოქალაქეობის არმქონე პირის ქმედება არ არის პოლიტიკური ხასიათის საქმიანობას. სადავო ნორმა წარმოადგენს ბლანკეტურ აკრძალვას, რომელიც საქართველოს მოქალაქეობის არმქონე პირებს ყოველგვარი გამონაკლისის გარეშე უკრძალავს შეკრებების ინიცირებას და ორგანიზებას".

სამართლებრივი საკითხი: შეკრებისა და მანიფესტაციის ორგანიზებისა და ჩატარებისას დაუშვებელია **მოწოდება კონსტიტუციური წყობილების დამხობის ან ძალადობით შეცვლისაკენ**.

საკონსტიტუციო სასამართლომ მსგავსი მოწოდებების შეზღუდვა კონსტიტუციის შესაბამისად მიიჩნია, თუმცა შემოგვთავაზა თავისი ხედვა ნორმის გონივრული განმარტების შესახებ; ასევე, იმსჯელა მოწოდებით გამოწვეული რეალური საფრთხის არსებობაზე და განმარტა:

- **„კონსტიტუციური წყობილების დამხობა** ყოველთვის ძალადობრივ ქმედებას უკავშირდება. დამხობა მიმართულია არსებული წყობილების განადგურებისაკენ კონსტიტუციის საწინააღმდეგო და არაკანონიერი მეთოდებით და, შესაბამისად, ძალადობის ელემენტსაც შეიცავს. [...] დემოკრატიული გზით არჩეული ხელისუფლების, კონსტიტუციით განსაზღვრული მმართველობის ფორმისა და წყობილების შეცვლა შესაძლებელია მხოლოდ კონსტიტუციითა და კანონით გათვალისწინებული გზით. ცვლილების განხორციელების ნებისმიერი სხვა ფორმა დემოკრატიული საზოგადოების არსებობას უქმნის საფრთხეს და ძალადობრივ ხასიათს ატარებს".
- „ამავე დროს, **ხელისუფლების „დამხობა"** არ უნდა გაიგივდეს ცვლილებებთან, რომლებიც შესაძლოა მშვიდობიან შეკრებებს ან მანიფესტაციებს მოჰყვეს შედეგად. მოქალაქეებს კონსტიტუციით აქვთ გარანტირებული უფლება, შეიკრიბონ და გამოხატონ საკუთარი ნება, დამოკიდებულება ხელისუფლების მიმართ, რაც, თავის მხრივ, შეიძლება გავლენას ახდენდეს მიმდინარე პოლიტიკურ თუ საზოგადოებრივ პროცესებზე, იწვევდეს მთავრობის ან მისი წევრის გადადგომას, პოლიტიკური წყობილების ან მმართველობის ფორმის შეცვლას. არსებითად არასწორია დემოკრატიული საზოგადოებისთვის დამახასიათებელი ასეთი პროცესის „ხელისუფლების დამხობასთან" გაიგივება, მასთან გათანაბრება".
- „სადავო ნორმის გონივრული წაკითხვის შემთხვევაში, დაწესებული შეზღუდვა [ტერმინი **„მოწოდება"**] კანონსაწინააღმდეგო ქმედების განხორციელების **განზრახვას ან/და ასეთი ქმედებისაკენ წაქეზებას უკავშირდება**".
- „საპროტესტო აქციას, რომელზეც ხელისუფლებისადმი კრიტიკულად განწყობილი ხალხი იყრის თავს, ახასიათებს ხელისუფლების შეცვლის ან მის გადადგომასთან დაკავშირებული მოწოდებები. ამგვარი კრიტიკული განცხადებები არ წარმოადგენს სადავო ნორმის რეგულირების სფეროს... მას არც ის გამონათქვამები განეკუთვნება, რომლებიც **ფორმალურად „დამხობისკენ მოწოდებას" შეიცავს, მაგრამ კონტექსტი, რომელშიც ეს სიტყვებია წარმოთქმული, მათი ნამდვილი არსი და მიზანმიმართულება არ იძლევა კანონის დარღვევის დადგენის საფუძველს** [არ ქმნის რეალურ საფრთხეს]".

სამართლებრივი საკითხი: უცხოელთა საკუთრების უფლების შეღუდვა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე.[2]

ფაქტები: სადავო ნორმები ზღუდავდა უცხოელის საკუთრების უფლებას სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთებზე საქართველოში (როგორც შეძენის,[3] ასევე, ფლობისა და სარგებლობის ნაწილ-

---

[2] **საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 26 ივნისის 3/1/512 გადაწყვეტილება საქმეზე „დანიის მოქალაქე ჰეიკე ქრონქვისტი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ".**

[3] **საქართველოს კანონი „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ": „უცხოელმა საკუთრება შეიძლება მოიპოვოს მხოლოდ მემკვიდრეობით მიღების გზით, ან იმ შემთხვევაში, თუ მას მართლზომიერად ფლობდა როგორც საქართველოს მოქალაქე".**

ში). საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმმა, მოსამართლე ზაზა თავაძის მონაწილეობით, აღნიშნული რეგულაციები არაკონსტიტუციურად გამოაცხადა კონსტიტუციით გარანტირებულ საკუთრების უფლებასთან მიმართებით.

სამართლებრივი საკითხი: უცხოელმა საკუთრება შეიძლება მოიპოვოს მხოლოდ მემკვიდრეობის მიღების გზით, ან თუ მას მართლზომიერად ფლობდა როგორც საქართველოს მოქალაქე.

სასამართლომ განმარტა:

- „კონსტიტუციის 21-ე მუხლით გარანტირებული უფლება **[საკუთრების უფლება] ეკუთვნის ყველას** და კონსტიტუციური ნორმა არ განსაზღვრავს უფლების სუბიექტთა ექსკლუზიურ წრეს, **მათ შორის, მოქალაქეობის ნიშნით“**.
- „მოცემულ შემთხვევაში, მოპასუხის პოზიციიდან არ იკვეთება არცერთი არგუმენტი, რომელიც წარმოაჩენდა, რა კავშირია უცხოელთათვის სასოფლო-სამეურნეო მიწაზე საკუთრების აკრძალვასა და აგრარული სტრუქტურის გაუმჯობესებას შორის. აგრარული სტრუქტურის გაუმჯობესების ხელშეწყობის შესაძლებლობა სახელმწიფოს ერთნაირად აქვს, იმისგან დამოუკიდებლად, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა საქართველოში მცხოვრებ უცხოელ ფერმერს ეკუთვნის თუ საქართველოს მოქალაქეს. [...] ამავე დროს, სახელმწიფოს ეკონომიკურ ზრდას, სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებულ ტექნოლოგიურ თუ მეცნიერულ განვითარებას ბაზარზე ახალი მოთამაშეების შემოსვლა არათუ დააკნინებს, არამედ შესაძლოა ხელიც კი შეუწყოს“.
- „სახელმწიფოს გააჩნია სუვერენიტეტი საკუთარ ტერიტორიაზე, რაც ნიშნავს იმას, რომ სამართლებრივ სივრცეს, მათ შორის, საკუთრების უფლების შინაარსსა და ფარგლებს, თავად განსაზღვრავს. ამავე დროს, კერძო საკუთრების არსებობა ვერ იქნება განხილული სახელმწიფოს სუვერენიტეტის რაიმე ფორმით დამცრობის შესაძლებლობად“.
  „შესაძლებელია არსებობდეს კონკრეტული მიწის ნაკვეთი, რომელზე საკუთრების უფლებაც, თავისი სტრატეგიული მნიშვნელობიდან გამომდინარე, წარმოადგენდეს სახელმწიფო უსაფრთხოების ნაწილს, თუმცა, ზოგადად, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა ასეთად ვერ იქნება განხილული“.

ამ არგუმენტებზე დაყრდნობით, საკონსტიტუციო სასამართლომ სადავო ნორმა არაკონსტიტუციურად მიიჩნია საკუთრების უფლებასთან მიმართებით. აღსანიშნავია, რომ გადაწყვეტილების მიღების შემდეგ, საქართველოს პარლამენტის მსგავსი საკანონმდებლო რეგულაციები (რეგულაციის საქართველოს კონსტიტუციაში ასახვასა და ძალაში შესვლამდე) სასამართლომ კიდევ ორჯერ[4] გამოაცხადა არაკონსტიტუციურად.

1.2. პოზიცია ჯგუფების / უმცირესობების მიმართ

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მეორე კოლეგიამ, ზაზა თავაძის თავმჯდომარეობით, მიიღო სასამართლოს ისტორიაში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილება ფსიქოსოციალური საჭიროების მქონე პირთა სამართლებრივ სტატუსსა და უფლებრივ მდგომარეობაზე. საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებამ საფუძვლიანად შეცვალა ქმედუუნარობის ინსტიტუტი და გააუმჯობესა ადამიანთა კონკრეტული ჯგუფის უფლებრივი მდგომარეობა.[5]

---

[4] **საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 24 ივნისის N563 გადაწყვეტილება საქმეზე ავსტრიის მოქალაქე მათიას ჰუტერი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 7 დეკემბრის №1267, №1268 განჩინება საქმეზე საბერძნეთის რესპუბლიკის მოქალაქეები – პროკოპი სავვიდი და დიანა შამანიდი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.**

[5] **საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 8 ოქტომბრის N532, 533 გადაწყვეტილება საქმეზე ირაკლი ქემოკლიძე და დავით ხარაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.**

ფაქტები: გასაჩივრებული ნორმების თანახმად, პირებს, რომლებიც ქმედუუნაროდ ცნეს „ჭკუასუსტობის“ ან „სულით ავადმყოფობის“[6] გამო, ეზღუდებოდათ:

- თავისი ნებით და მოქმედებით შეეძინათ სამოქალაქო უფლებები და მოვალეობები;
- შესულიყვნენ ქორწინებაში;
- მიემართათ სასამართლოსთვის ქმედუნარიანად აღიარების თაობაზე.

მოსარჩელე მხარე მიიჩნევდა, რომ გასაჩივრებული ნორმები ბლანკეტურად, ინდივიდუალური ნიშნების გაუთვალისწინებლად ზღუდავდა ქმედუუნაროდ გამოცხადებულ პირთა ავტონომიას, რაც, მისი აზრით, ეწინააღმდეგებოდა რამდენიმე კონსტიტუციურ უფლებას, მათ შორის, **პიროვნების თავისუფალი განვითარების** უფლებას. სასამართლომ არაკონსტიტუციურად ცნო სადავო ნორმები და ფუნდამენტურად შეცვალა „ქმედუნარიანობის“ ინსტიტუტის არსი. მან ყურადღება გაამახვილა რამდენიმე მნიშვნელოვან სამართლებრივ საკითხზე:

- „სადავო რეგულირება არსებითად ცვლის პირის სამართლებრივ სტატუსს და იწვევს მძიმე სამართლებრივ და პრაქტიკულ შედეგებს. პირი, ფორმალურად, განუსაზღვრელი ვადით ითვლება სამოქალაქოსამართლებრივი გარიგების დადების უნარის არმქონედ; პრაქტიკულად, სრულად ხდება დამოკიდებული თავის მეურვეზე და ერთმევა უფლება, დამოუკიდებლად მიიღოს მონაწილეობა სამოქალაქო ცხოვრების ყველა სფეროში, მათ შორის, ისეთ სფეროებში, რომლებიც უშუალოდაა დაკავშირებული მის ყოველდღიურ ყოფა-ცხოვრებასთან, არსებობასა და განვითარებასთან“.
- „ქმედუნარიანობის აბსოლუტური და ბლანკეტური ჩამორთმევა უფლებაში მაღალი ინტენსივობით ჩარევას წარმოადგენს, რომელიც გულისხმობს პირის ავტონომიურობის დაკარგვას ცხოვრების პრაქტიკულად ყველა სფეროში. პირი სრულად კარგავს დამოუკიდებელი და თავისუფალი მოქმედების უფლებას. მეტიც, ქმედუნარიანობის ჩამორთმევა ხდება განუსაზღვრელი ვადით. შესაბამისად, პირის უფლებაში ასეთი ინტენსივობის ჩარევა განპირობებული უნდა იყოს უაღრესად მნიშვნელოვანი ლეგიტიმური მიზნის არსებობით და წარმოადგენდეს ამ მიზნის მიღწევის ყველაზე ნაკლებად მზღუდველ საშუალებას“.

სამართლებრივი საკითხი: ჰომოსექსუალიზმი, როგორც სისხლისა და მისი კომპონენტების დონაციის აკრძალვის საფუძველი.[7]

ფაქტები: მოსარჩელეები დავობდნენ საკანონმდებლო რეგულაციაზე, რომლის თანახმადაც, ჰომოსექსუალიზმი მიეკუთვნებოდა შიდსის ისეთ რისკჯგუფს, რომელსაც ეკრძალება სისხლისა და მისი კომპონენტების დონაცია. საკონსტიტუციო სასამართლოს მეორე კოლეგიამ, მოსამართლე ზაზა თავაძის მონაწილეობით, საკანონმდებლო რეგულაცია არაკონსტიტუციურად მიიჩნია, კონსტიტუციით გარანტირებულ თანასწორობისა და პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლებასთან მიმართებით.

სამართლებრივი საკითხი: პირთა არსებითი თანასწორობა სისხლის დონაციის მიზნებისთვის.

---

[6] **შენიშნვა: ტერმინებს „ჭკუასუსტობა“ და „სულით ავადმყოფობა“ კანონმდებელი იყენებდა საკანონმდებლო აქტებში. ეს ტერმინები გვხვდებოდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის (2015 წლის 1 აპრილამდე მოქმედი რედაქცია) მე-12 მუხლის მე-4 ნაწილშიც.**

[7] **საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 4 თებერვლის 2/1/536 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები – ლევან ასათიანი, ირაკლი ვაჭარაძე, ლევან ბერიანიძე, ბექა ბუაშვილი და გოჩა გაბოიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.**

- „სისხლის დონორად ყოფნის სურვილი უკავშირდება ადამიანის პიროვნული ღირებულებების პრაქტიკულ რეალიზაციას, რისი ინტერესი და ფაქტობრივი შესაძლებლობაც თანაბრად აქვთ პირებს მათი სექსუალური ქცევებისა და ორიენტაციის მიუხედავად. აღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლო მიიჩნევს, რომ დიფერენცირებული პირები განსახილველ სამართლებრივ ურთიერთობაში არსებითად თანასწორ სუბიექტებს წარმოადგენენ.“[8]
- „განსახილველ შემთხვევაში, სადავო ნორმებით გათვალისწინებული შეზღუდვა არსებითად თანასწორ პირებს შორის ადგენს გაუმართლებლად მკაცრ უთანასწორო მოპყრობას და უფლებას ზღუდავს იმაზე მეტი ინტენსივობით, ვიდრე აუცილებელია ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად“.

სამართლებრივი საკითხი: პირის თვითიდენტიფიკაცია დაცულია პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლებით.

სასამართლომ განმარტა:

- „ვინაიდან კონსტიტუციის მე-16 მუხლი უზრუნველყოფს პირის უფლებას, თავისუფლად მოახდინოს თვითიდენტიფიცირება, დამოუკიდებლად განსაზღვროს საკუთარი იდენტობა, ცხოვრების წესი და სტილი, ინდივიდუალური განვითარების და სხვა პირებთან ურთიერთობის გზები და ფორმები, თავისი მორალური, სოციალური, ინტელექტუალური თუ სხვა მოთხოვნილებებისა და ინტერესების დაკმაყოფილების საშუალებები, იმავდროულად, მოიცავს პირის ინტიმური ცხოვრების სფეროსაც, საკუთარი სქესისა თუ სექსუალური ორიენტაციის განსაზღვრის უფლებას და სექსუალური ქცევის არჩევის თავისუფლებას“.

სასამართლომ დაადგინა:

- „აივ ვირუსის იდენტიფიცირება, „ფანჯრის პერიოდის“ შემდეგ, სისხლის ლაბორატორიული გამოკვლევებით შესაძლებელია. შესაბამისად, სარისკო სქესობრივი ქცევის მქონე ჰომოსექსუალი მამაკაცების განუსაზღვრელი ვადით დისტანცირება დონაციის პროცესისგან, ასევე არ პასუხობს პროპორციულობის მოთხოვნებს“.

1.3. გახმაურებული საქმეები

სამართლებრივი საკითხი: სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის მიზნებისთვის ბრალდებულის[9] თანამდებობიდან გადაყენების წესი.[10]

ფაქტები: სადავო ნორმები ითვალისწინებდა ბრალდებულის თანამდებობიდან გადაყენების შესაძლებლობას, თუ იარსებებდა დასაბუთებული ვარაუდი, რომ ამ პოზიციაზე (სამუშაოზე) დარჩენით იგი ხელს შეუშლიდა გამოძიებას. თბილისის ყოფილი მერი გიორგი უგულავა დავობდა, რომ აღნიშნული საკანონმდებლო ჩანაწერი არღვევდა კონსტიტუციით გარანტირებულ სახელმწიფო თანამდებობის დაკავების უფლებას. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმმა, კანდიდატის მონაწილეობით, დაადგინა: სადავო საკანონმდებლო ჩანაწერის ნორმატიული შინაარსი, რომელიც ითვალისწინებს ადგილობრივი თვითმმართველობის საყოველთაო, თანასწორი და პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე ფარული კენჭისყრით არჩეული პირების გადაყენებას თანამდებობიდან, ეწინააღმდეგებოდა სახელმწი-

---

8 იქვე, II-20.

9 ადგილობრივი თვითმმართველობის საყოველთაო, თანასწორი და პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე ფარული კენჭისყრით არჩეული პირი.

10 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 23 მაისის 3/2/574 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე გიორგი უგულავა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

ფო თანამდებობის დაკავების უფლებას. სასამართლომ ყურადღება გაამახვილა რამდენიმე მნიშვნელოვან სამართლებრივ საკითხზე:

- „სადავო ნორმა იწვევს მოსარჩელისთვის კონსტიტუციის 29-ე მუხლით გარანტირებულ უფლებაში ჩარევას; კერძოდ, ზღუდავს მის უფლებას, შეუფერხებლად განახორციელოს მისთვის თბილისის ამომრჩევლების მიერ საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე 4 წლის ვადით მინიჭებული უფლებამოსილებები. [...] საქართველოს კონსტიტუციის 29-ე მუხლით გარანტირებულ უფლებას დაცულობის ხარისხს მატებს ის გარემოება, რომ მოსარჩელე, როგორც არჩეული თანამდებობის პირი, საკუთარ უფლებამოსილებას ამომრჩეველთა ნების საფუძველზე ახორციელებს. დაუშვებელია შესაბამისი თვითმმართველი ერთეულის ამომრჩეველთა ინტერესის უგულებელყოფა, ადგილობრივი მნიშვნელობის საქმეები განახორციელონ მათ მიერ პირდაპირი წესით არჩეული წარმომადგენლის მეშვეობით“.
- „ვინაიდან მერის უფლებამოსილება შემოფარგლულია კონკრეტული ვადით, რაც უფრო ხანგრძლივია მისი თანამდებობიდან გადაყენება, მით უფრო ინტენსიური იქნება უფლებაში ჩარევა, ვინაიდან ის შეუქცევად ხასიათს ატარებს – გაცდენილი ვადის აღდგენა ობიექტურად შეუძლებელია. [...] არჩევნების პერიოდულობის დაცვა უმნიშვნელოვანეს ლეგიტიმურ მიზნებს ემსახურება და მოქალაქეთა უფლება პერიოდულ არჩევნებზე ვერ დადგება კითხვის ნიშნის ქვეშ. შესაბამისად, ასეთ შემთხვევებში, სსსკ-ის 159-ე მუხლით გათვალისწინებული ღონისძიების გამოყენება გამოიწვევს არა დროებით ჩარევას მერის თანამდებობრივი უფლებამოსილების განხორციელებაში, არამედ, ფაქტობრივად, საბოლოოდ გადაყენებას თანამდებობიდან“.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო პლენუმმა, კანდიდატის მონაწილეობით, გადაწყვეტილება მიიღო გიორგი უგულავას მეორე კონსტიტუციურ სარჩელზეც.[11]

ფაქტები: გიორგი უგულავა დავობდა სისხლის სამართლის საპროცესო ნორმების იმ შინაარსზე, რომელიც შესაძლებლობას იძლეოდა, რომ პატიმრობის 9-თვიანი ვადა სასამართლოს გამოეყენებინა თითოეულ სისხლის სამართლის საქმეზე, როცა პირს პატიმრობამდე ჩადენილ დანაშაულში ედება ბრალი. მოსარჩელის აზრით, სადავო ნორმის შინაარსი მას უზღუდავდა კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-6 პუნქტით (საქართველოს კონსტიტუციის 2018 წლის 16 დეკემბრამდე მოქმედი რედაქცია) დაცულ უფლებას. ამ უფლების თანახმად, ბრალდებულის წინასწარი პატიმრობის ვადა არ უნდა აღემატებოდეს 9 თვეს.

საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმმა სასარჩელო მოთხოვნა ნაწილობრივ დააკმაყოფილა: სასამართლომ მიიჩნია, რომ საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-6 პუნქტს ეწინააღმდეგებოდა სადავო ნორმის ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც უშვებს კონკრეტულ სისხლის სამართლის საქმეზე ბრალდებულის პატიმრობას მაშინაც, როცა ბრალის წაყენების (ან წასაყენებლად საკმარისი საფუძვლის გამოვლენის) შემდეგ მას პატიმრობაში გატარებული აქვს, ჯამურად, 9 თვე.

სამართლებრივი საკითხი: „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში 2016 წლის 3 ივნისს ამოქმედებული ნორმების კონსტიტუციურობის საკითხი.[12]

---

[11] **საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 15 სექტემბრის 3/2/646 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე გიორგი უგულავა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.**

[12] **საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 29 დეკემბრის 3/5/768,769,790,792 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს პარლამენტის წევრთა ჯგუფი (დავით ბაქრაძე, სერგო რატიანი, როლანდ ახალაია, ლევან ბეჟაშვილი და სხვები, სულ 38 დეპუტატი), საქართველოს მოქალაქეები – ერასტი ჯაკობია და კარინე შახპარონიანი, საქართველოს მოქალაქეები – ნინო კოტიშაძე, ანი დოლიძე, ელენე სამადბეგიშვილი და სხვები, აგრეთვე, საქართველოს პარლამენტის წევრთა ჯგუფი (ლევან ბეჟაშვილი, გიორგი ღვინიაშვილი, ირმა ნადირაშვილი, პეტრე ცისკარიშვილი და სხვები, სულ 38 დეპუტატი) საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.**

ფაქტები: 2016 წლის 3 ივნისს „საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ამოქმედდა მთელი რიგი ახალი რეგულაციები ისეთ საკითხებთან მიმართებით, როგორიცაა: საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის განსჯადობა, ამ სასამართლოს მიერ ნორმის მოქმედების შეჩერება, სასამართლოს კვორუმი და მოსამართლის უფლებამოსილების შეწყვეტის წესები. აღნიშნული ნორმები გულისხმობდა საკონსტიტუციო სამართალწარმოების სრულიად ახალი წესების დადგენას საქართველოს პარლამენტის მიერ. სასამართლოს პლენუმმა, კანდიდატ ზაზა თავაძის მონაწილეობით, სადავო ნორმების დიდი ნაწილი არაკონსტიტუციურად ცნო და განმარტა რამდენიმე მნიშვნელოვანი საკითხი:

სამართლებრივი საკითხი: საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის მიერ გადაწყვეტილების მისაღებად, განისაზღვროს, სულ მცირე, 7 მოსამართლის დასწრება, ხოლო სარჩელის დაკმაყოფილებისთვის – სრული შემადგენლობის უმრავლესობის თანხმობა.

სასამართლომ განმარტა:

- „არსებითად განსხვავებული საკითხია საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ ორგანული კანონის ნორმის კონსტიტუციურობის შეფასება. სასამართლო ვალდებულია, დასაბუთებული გადაწყვეტილებით დაადგინოს, რამდენად შეესაბამება პარლამენტის მიერ მიღებული ორგანული კანონი კონსტიტუციას. როგორც აღინიშნა, საკონსტიტუციო სასამართლო არ წარმოადგენს პოლიტიკურ ორგანოს და გადაწყვეტილებას იღებს კონსტიტუციის ობიექტური და მიუკერძოებელი განმარტების გზით. საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მაღალი უმრავლესობით მიღების წესი განპირობებულია არა სასამართლოს პოლიტიკური ლეგიტიმაციის საჭიროებით, არამედ შესაფასებელი საკითხის სისტემური კონსტიტუციურსამართლებრივი მნიშვნელობით“.

სასამართლომ დაადგინა: სადავო ნორმებში, რომელთა თანახმადაც, ნორმის მოქმედების შეჩერებასა და ორგანული კანონის კონსტიტუციურობაზე სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილებისთვის საჭიროა სასამართლო პლენუმის სრული შემადგენლობის უმრავლესობა, ტერმინი „სრული“ ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის პირველ პუნქტით გარანტირებულ სამართლიანი სასამართლოს უფლებას (საქართველოს კონსტიტუციის 2018 წლის 16 დეკემბრამდე მოქმედი რედაქცია).

სამართლებრივი საკითხი: ნორმატიული აქტის შეჩერება საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ, საქმის განსახილველად გადაცემა სასამართლოს პლენუმისთვის და ნორმის შეჩერებაზე გადაწყვეტილების მიღება პლენუმის სრული შემადგენლობის უმრავლესობით.

სასამართლომ განმარტა:

- „სადავო ნორმის მოქმედების შეჩერება თავისთავად არ წარმოადგენს სისტემური მნიშვნელობის კონსტიტუციურსამართლებრივ საკითხს. საკონსტიტუციო სასამართლო არ გამორიცხავს, რომ რიგ შემთხვევებში ნორმების შეჩერება შეიძლება მართლაც უკავშირდებოდეს სისტემურ, სტრუქტურულ კონსტიტუციურსამართლებრივ პრობლემებს, თუმცა არა ყველა შემთხვევაში. ამდენად, სადავო ნორმით დადგენილია გაუმართლებელი, არაგონივრული გადახრა საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღების ზოგადი წესიდან“.

სასამართლოს პლენუმმა დაადგინა, რომ ნორმის მოქმედების შეჩერების პლენუმისთვის გადაცემის წესი ეწინააღმდეგებოდა კონსტიტუციით გარანტირებული სამართლიანი სასამართლოს უფლებას.

სამართლებრივი საკითხი: საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრისთვის უფლებამოსილების შეწყვეტა 10-წლიანი ვადის ამოწურვისთანავე.

სასამართლომ განმარტა:

- „როდესაც არ ხდება საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის დროული ჩანაცვლება და ეს იწვევს საკონსტიტუციო სასამართლოს ფუნქციონირების შეფერხებას, აღნიშნული წევრის უფლებამოსილების 10-წლიანი ვადა გაგრძელებულად უნდა ჩაითვალოს ჩამნაცვლებელი წევრის თანამდებობაზე განწესებამდე. ამ კონტექსტში საკონსტიტუციო სასამართლოს ფუნქციონირების შეფერხებად ჩაითვლება ისეთი ვითარება, როდესაც შესაბამისმა სახელმწიფო ორგანომ კანონით დადგენილ ვადაში არ აირჩია ახალი წევრი და, საქმის განხილვის სათანადო კვორუმის არარსებობის გამო, შეუძლებელია საკონსტიტუციო სამართალწარმოების განხორციელება. საკონსტიტუციო სასამართლოს ინსტიტუციური პარალიზების თავიდან არიდების მიზნით აუცილებელია, ასეთ შემთხვევებში საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის უფლებამოსილების 10-წლიანი ვადა გაგრძელდეს საკონსტიტუციო სასამართლოს ახალი წევრის თანამდებობაზე განწესებამდე. წინააღმდეგ შემთხვევაში, საკონსტიტუციო სასამართლოს კომპეტენციის განმსაზღვრელი ნორმა საფრთხეს შეუქმნის საკონსტიტუციო სასამართლოს, როგორც ეფექტიანი ინსტიტუტის არსებობას და შეეწინააღმდეგება მის უმთავრეს მიზანს – ადამიანის ძირითადი უფლებების დაცვას“.

სასამართლომ დაადგინა: სადავო ნორმის ნორმატიული შინაარსი ითვალისწინებს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის უფლებამოსილების შეწყვეტას 10-წლიანი ვადის ამოწურვისთანავე (თუ შესაბამისი სახელმწიფო ორგანო კანონით დადგენილ ვადაში არ აირჩევს/დანიშნავს ახალ წევრს), რაც, სათანადო კვორუმის არარსებობის გამო, შეუძლებელს ხდის უფლებამოსილების განხორციელებას საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ. შესაბამისად, ის ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციის 42-ე და 88-ე მუხლების პირველ პუნქტებს (საქართველოს კონსტიტუციის 2018 წლის 16 დეკემბრამდე მოქმედი რედაქცია).

1.4. განსხვავებული აზრი / წარდგინებები

კანდიდატს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს რამდენიმე გადაწყვეტილებაში დაფიქსირებული აქვს განსხვავებული აზრი.

სამართლებრივი საკითხი: თავისუფლების ქარტია. სახელმწიფო თავისუფლების დაკავების უფლების შეზღუდვა ქვეყნის ეროვნულ უშიშროებას და უსაფრთხოებას, ასევე კომუნისტური ტოტალიტარული იდეოლოგიის დაძლევის საჯარო ინტერესთ.[13]

ფაქტები: „თავისუფლების ქარტიის“ საქართველოს კანონის სადავო ნორმები კრძალავდა გარკვეულ სახელმწიფო თანამდებობეზე იმ პირთა არჩევით და დანიშვნით თანამდებობების დაკავებას, ვისაც 1921 წლის 25 თებერვლიდან 1991 წლის 9 აპრილამდე ეკავათ ყოფილი სსრკ-ის და საქართველოს სსრ-ის სახელისუფლებო და პარტიული გარკვეული თანამდებობები.[14] მოსარჩელე მიიჩნევდა, რომ რომ სადავო ნორმები ეწინააღმდეგებოდა საქართველოს კონსტიტუციის 2018 წლის 16 დეკემბრამდე მოქმედი რედაქციის 14- მუხლით დაცულ თანასწორობის, მე-17 მუხლის პირველი ნაწილით დაცულ პატივისა და ღისების

[13] **საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 28 ოქტომბრის 2/5/560 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ნოდარ მუმლაური საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.**

[14] **ყოფილი სსრკ-ის და საქართველოს სსრ-ის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტების წევრები, რაიონული და საქალაქო კომიტეტების მდივნები; ყოფილი სსრკ-ის და საქართველოს სსრ-ის ახალგაზრდული ლენინური კომუნისტური კავშირის ცენტრალური კომიტეტების ბიუროების წევრები.**

და 29-ე მუხლით დაცულ სახელმწიფოს თანამდებობის დაკავების უფლებებს. საკონსტიტუციო სასამართლოს კოლეგიამ სასარჩელო მოთხოვნა ნაწილობრივ დააკმაყოფილა და დაადგინა, რომ სადავო ნორმები ეწინააღმდეგებოდა 17-ე მუხლის პირველი პუნქტით დაცულ პატივისა ღირსების უფლებას.

სასამართლომ განმარტა:

- „სადავო ნორმების საფუძველზე პირები ხდებიან სახელმწიფოს მიერ ლეგიტიმური მიზნების მისაღწევი ღონისძიებების ეფექტურობის მსხვერპლნი. სახელმწიფო ასეთ პირებს იყენებს ეროვნული უშიშროების დაცვისა და კომუნისტური ტოტალიტარული იდეოლოგიის დაძლევის მიზნების მიღწევის საშუალებად. ამგვარი მოპყრობა არ შეესაბამება კონსტიტუციით გარანტირებულ ღირსების უფლებას."

ზაზა თავაძისა და თამაზ ცაბუტაშვილის განსხვავებული აზრი

კანდიდატმა, თავის ერთ-ერთ კოლეგასთან ერთად, გადაწყვეტილებაში დააფიქსირა განსხვავებული აზრი. კანდიდატი მიიჩნევს, რომ შეზღუდვა არა მხოლოდ ღირსების, არამედ, ასევე თანასწორობისა და სახელმწიფო თანამდებობის დაკავების კონსტიტუციით გარანტირებულ უფლებებებს არღვევს. კანდიდატმა, ყურადღება გაამახვილა რამდენიმე მნიშვნელოვან სამართლებრივ საკითხზე:

- „წარსულში ამა თუ იმ თანამდებობაზე ყოფნა აბსოლუტურად შეუცვლელი ნიშანია, (იმაზე უფრო მყარი, ვიდრე, მაგალითად, სქესი, კანის ფერი ან რელიგიური კუთვნილება), შესაბამისად, მოსარჩელის მსგავს მდგომარეობაში მყოფი პირებისათვის აბსოლუტურად შეუძლებელია რაიმე ფორმით ტრანსფორმირება, რის შედეგადაც, მათ თანამდებობის დაკავების უფლების აღდგენა შეეძლებათ. ხსენებული სახელმწიფო თანამდებობების დაკავება ხელმიუწვდომელი ხდება მოსარჩელის მსგავს მდგომარეობაში მყოფი პირებისათვის იმის მიუხედავად, თუ რას მოიმოქმედებენ ისინი, რა განათლებას მიიღებენ, რამდენად დემოკრატიულ ღირებულებებზე დაფუძნებული იქნება მათი აზრები და საქმიანობა."

ამასთან, კანდიდატის მოსაზრებით წარმოუდგენელია საკანონმდებლო რეგულაცია ლახავდეს ადამიანის ღირსებას და ღირსების შემლახველი ფორმით თანამდებობის დაკავების აკრძალვა შესაბამისობაში იყოს სახელმწიფო თანამდებობის დაკავების კონსტიტუციით გარანტირებულ უფლებასთან.

სამართლებრივი საკითხი: ბრალდებულის მოქმედებისათვის პასუხისმგებელი და ბრალდებულთან დაკავშრებული პირის ქონების ყადაღა სისხლის სამართალწარმეობის მიზნებისთვის.[15]

ფაქტები: საქმეში ძირითადი სადავო საკითხი ეხებოდა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ნორმას რომელიც ითვალისწინებს ქონების შესაძლო ჩამორთმევის უზრუნველსაყოფად სასამართლოს უფლებას მხარის შუამდგომლობის საფუძველზე, ბრალდებულის, მისი მოქმედებისათვის მატერიალურად პასუხისმგებელი პირის ან/და მასთან დაკავშირებული პირის ქონების, მათ შორის, საბანკო ანგარიშების ყადაღის შესაძლებლობას, თუ არსებობს მონაცემები, რომ ქონებას გადამალავენ ან დახარჯავენ ან/და ქონება დანაშაულებრივი გზით არის მოპოვებული. მოსარჩელე მიიჩნევდა, რომ ქონების შესაძლო ჩამორთმევის ურზუნველყოფისთვის დადგენილი წესი გაუმართლებლად ზღუდავდა მის საქართველოს კონსტიტუციის 2018 წლის 16 დეკემბრამდე მოქმედი რედაქციის 21-ე მუხლით გარანტირებულ საკუთრების უფლებას. საკონსტიტუციო სასამართლოს კოლეგიამ არ დააკმაყოფილა საასრჩელო მოთხოვნა და დაადგინა, რომ სადავო ნორმა არ ეწინააღმდეგებოდა საკუთრების უფლებებს.

[15] **საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 18 აპრილის 2/1/631 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები – თეიმურაზ ჯანაშია და გიული ალასანია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ"**

კანდიდატმა, თავის ერთ კოლეგასთან ერთად, გადაწყვეტილებაში დააფიქსირა განსხვავებული აზრი. კანდიდატი მიიჩნევს, რომ სადავო ნორმა ლახავს საკუთრების უფლებას და არაკონსტიტუციურია. კანდიდატმა, ყურადღება გაამახვილა რამდენიმე მნიშვნელოვან საკითხზე:

- „ბრალდებულთან დაკავშირებულ პირს ან მისი ქმედებისათვის მატერიალურად პასუხისმგებელ პირს ქონებაზე დადებული ყადაღის მოქმედების ვადა შესაძლოა უსასრულოდ გაუგრძელდეს მაშინ, როდესაც ბრალდებულის მიმალვასთან დაკავშირებით მათი ბრალეულობა არ იკვეთება. შესაბამისად, ამ პირების ქონება შესაძლოა დაყადაღდეს განუსაზღვრელი ვადით იმ პირობებში, როდესაც მათ არც დანაშაულში ედებათ ბრალი და არც ყადაღის გამოყენების ვადაზე აქვთ რაიმენაირი ზეგავლენის მოხდენის შესაძლებლობა. საკუთრების უფლებაში მსგავსი, უხეში ჩარევის შედეგად, ამ პირებს შესაძლოა განუსაზღვრელი ვადით შეეზღუდოთ როგორც მოძრავი, ისე უძრავი ქონების საბანკო ანგარიშების განკარგვის უფლება ან მეტიც, სარგებლობის უფლებაც, რაც საკუთრების უფლებას არღვევს.“

2. პროფესიულ საქმიანობაში გამოვლენილი გადაცდომები (დისციპლინური წარმოება, პროფესიული ეთიკა)

1. დისციპლინური წარმოება – არსებული საჩივრები

- კანდიდატის მიმართ დისციპლინური სახდელი არ გამოყენებულა.

2. პროფესიული ეთიკის ნორმების სავარაუდო დარღვევა

- ეთიკის ნორმების დარღვევა არ ფიქსირდება.

3. დაწინაურებები და პროფესიული საქმიანობისთვის მინიჭებული ჯილდოები / სტიპენდიები

1. კარიერული განვითარება

- 1999-2000 წლებში კანდიდატი ზაზა თავაძე იყო ზესტაფონის რაიონული საკრებულოს აპარატისა და საორგანიზაციო განყოფილების უფროსი, ხოლო შემდეგ – საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ადგილობრივი მმართველობისა და თვითმმართველობის ორგანოებთან მუშაობის იმერეთის რეგი-

ონული განყოფილების მრჩეველი. 2000-2004 წლებში იგი მუშაობდა თანამდებობის პირთა ქონებრივი და საფინანსო მდგომარეობის საინფორმაციო ბიუროს სამართლებრივ საკითხთა სექტორის წამყვან სპეციალისტად, 2004 წელს კი ხელმძღვანელობდა ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს პარლამენტთან ურთიერთობისა და კანონშემოქმედებითი საქმიანობის სამსახურს.

- 2004-2007 წლებში იგი იყო საქართველოს გენერალური პროკურატურის საკადრო უზრუნველყოფის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე, ხოლო 2007-2008 წლებში – ამავე დეპარტამენტის უფროსი.
- 2008-2010 წლებში ეკავა საქართველოს იუსტიციის მინისტრის მოადგილის თანამდებობა.
- 2010 წლის 30 მარტს, საქართველოს უზენაესი სასამართლოს პლენუმის გადაწყვეტილებით, კანდიდატი დაინიშნა საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლედ და უფლებამოსილების განხორციელებას შეუდგა ფიცის დადების დღიდან (2010 წლის 15 ივნისი). 2010-2016 წლებში მოსამართლე ზაზა თავაძე გახლდათ საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე, 2016 წლის 20 ოქტომბრიდან კი თავმჯდომარეობს ამ სასამართლოს.

2. მიღებული ჯილდო/სტიპენდია

- ზაზა თავაძეს არ აქვს მიღებული ჯილდო/სტიპენდია.

4. კანონთან კონფლიქტი, ინტერესთა კონფლიქტი

1. სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა, ადმინისტრაციული სამართალდარღვევები/ჯარიმები, სასამართლო დავები

- მოსამართლე ზაზა თავაძე ნასამართლევი არ არის.
- ადმინისტრაციული სამართალდარღვევა ფიქსირდება თანამდებობის პირის ფინანსურ დეკლარაციაში აღმოჩენილი უზუსტობისთვის, რის გამოც, მოსამართლე ზაზა თავაძე დაჯარიმდა 1400 ლარით.
- სასამართლო დავებში კანდიდატი მხარედ არ მონაწილეობდა.

2. პარტიული მიკუთვნებულობა, ინტერესთა კონფლიქტი იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრთან, კავშირი პოლიტიკოსებთან/გავლენიან ადამიანებთან

- მოსამართლე ზაზა თავაძე არ ყოფილა რომელიმე პოლიტიკური პარტიის წევრი.
- საქართველოს გენერალური პროკურატურის საკადრო უზრუნველყოფის დეპარტამენტის უფროსის მოადგილედ მუშაობისას (2004-2007), მისი უშუალო ხელმძღვანელი იყო **ვასილ როინიშვილი** (ამჟამად უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე და ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის თავმჯდომარე), ამავე დეპარტამენტის უფროსად მუშაობისას (2007-2008) კი – **ზურაბ ადეიშვილი**.
- საქართველოს იუსტიციის მინისტრის მოადგილედ მუშაობისას (2008-2010) მინისტრი იყო **ნიკა გვარამია** (2008), ხოლო შემდეგ – **ზურაბ ადეიშვილი** (2008-2010). ზაზა თავაძესთან ერთად, მინისტრის მოადგილე გახლდათ მაია კოპალეიშვილი (2007-2009).
- ზაზა თავაძე საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლედ დანიშნა საქართველოს უზენაესი სასამართლოს პლენუმმა, შემდეგი შემადგენლობით: **კონსტანტინე კუბლაშვილი, მიხეილ ჩინჩალაძე, ლევან მურუსიძე, ზაზა მეიშვილი, ვალერი ცერცვაძე, ვასილ როინიშვილი, პაატა სილაგაძე.**

5. კანდიდატის საჯარო აქტივობები / პოზიციები და ქცევა

1. სოციალურ ქელში დაფიქსირებული მოსაზრებები

- მოსამართლე ზაზა თავაძე არ იყენებს სოციალურ ქსელებს. მას არ აქვს როგორც პერსონალური პროფილი, ისე ოფიციალურ თანამდებობასთან დაკავშირებული გვერდი.

2. მოსამართლე ზაზა თავაძის საჯარო განცხადებები

2.1. კომენტარი, რომელიც შეეხება 176,150 ლარის ღირებულების TOYOTA LAND CRUISER-ისა და 124, 000 ლარის ღირებულების ორი TOYOTA CAMRY-ის შეძენას საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ

საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ ძვირადღირებული ავტომობილების შეძენაზე სასამართლოს თავმჯდომარემ, ზაზა თავაძემ, 2017 წლის 18 აპრილს განაცხადა: ,

> **2016 წლის ნოემბერში საკონსტიტუციო სასამართლოს ბიუჯეტში დარჩა ნაშთი, რომლის ათვისებაც წლის განმავლობაში ვერ მოხერხდა და გადავწყვიტე, ძველი მანქანების პარკი გამეახლებინა: ლაპარაკია 2007-2008 წლებში გამოშვებულ ავტომობილებზე, რომლებიც შეკეთებას საჭიროებდა. ადრე საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარეს ორი ავტომობილი ჰყავდა: Toyota Land Cruiser 200 და S-კლასის Mercedes, მე კი გადავწყვიტე, ორი ძვირადღირებული ავტომობილის ნაცვლად, ერთი შეგვეძინა".[1]**

2.2. განცხადება საქართველოს პარლამენტის მიერ მანანა კობახიძის საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლედ არჩევის შესახებ

ამ საკითხთან დაკავშირებით, 2017 წლის 18 აპრილს კანდიდატმა შემდეგი განცხადება გააკეთა: ,

> **რაც შეეხება მანანა კობახიძეს, ჟურნალისტები მეკითხებიან: ხომ არ გიქმნით უხერხულობას ის, რომ პოლიტიკური ლიდერი ახლა საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეაო? არა ვარ ის ადამიანი, რომელიც საკონსტიტუციო სასამართლოს წევრებს ნიშნავს ან ირჩევს. შესაბამისად, უხერხულობა ჩემთვის მეათეხარისხოვანია. შესაძლოა, მანტიის მიღმა რაღაც არ მომწონდეს, მაგრამ, როდესაც მანტია მაცვია, უხერხულობის საკითხი არც უნდა განიხილებოდეს... ბევრ ევროპულ ქვეყანაში, თუ პირი პარლამენტის წევრი იყო, მომავალში საკონსტიტუციო სასამართლოს წევრი არ უნდა გახდეს, თუმცა, ამ მხრივ ჩვენთან შეზღუდვა არ არსებობს. შესაბამისად, აკრძალულიც არ არის".[2]**

---

[1] საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე 176-ათასიანი ჯიპის შეძენაზე: „ბიუჯეტის ნაშთი ავითვისეთ", ხელმისაწვდომია: https://bit.ly/2OSyPd

[2] „შესაძლოა, მანტიის მიღმა რაღაც არ მომწონდეს" – ზაზა თავაძე მანანა კობახიძეზე. ხელმისაწვდომია: https://bit.ly/31A6n15

2.3. საკონსტიტუციო რეფორმის ფარგლებში დაფიქსირებული პოზიცია საქართველოს პარლამენტის მიერ საქართველოს პრეზიდენტის არჩევის წესთან დაკავშირებით

2017 წლის 27 ნოემბერს საქართველოს პარლამენტში საკონსტიტუციო ცვლილებების განხილვისას, კანდიდატმა განაცხადა:

> **კონსტიტუციიდან გამომდინარე (რა დონის დოკუმენტიც არის ის), ვფიქრობ, პრეზიდენტის არჩევნების წესი ალბათ უფრო დასახვეწი და გადასახედი იქნება... ჩვენ ძალიან ბევრი მოდელი გვაქვს განხილული, იგივე გერმანიის მოდელი, საპარლამენტო რესპუბლიკების მოდელებს ვგულისხმობ – ანუ ვინ და როგორ ირჩევს პრეზიდენტს - არაპირდაპირი არჩევის წესს ვგულისხმობ. მე თუ მკითხავთ, პრეზიდენტი პარლამენტს უნდა აერჩია, როგორც ადრე იყო ნათქვამი ".[3]**

2.4. 2016 წლის 29 ივლისს კანდიდატისა და საკონსტიტუციო სასამართლოს ოთხი მოსამართლის საჯარო მიმართვა სასამართლოს მაშინდელი თავმჯდომარის, ბატონი გიორგი პაპუაშვილისადმი

ტელეკომპანია „რუსთავი 2"-ისა და სხვა გახმაურებული საქმეების განხილვის კონტექსტში, საკონსტიტუციო სასამართლოს ხუთმა მოსამართლემ, მათ შორის, ზაზა თავაძემ, საინფორმაციო სააგენტო „პრაიმტაიმში" გაავრცელა მიმართვა სასამართლოს მაშინდელი თავმჯდომარის, ბატონი გიორგი პაპუაშვილისადმი. ისინი აპროტესტებდნენ ზოგიერთი საქმის „დაჩქარებული ტემპით" განხილვას, მაშინ, როდესაც, უფრო ადრე შესულ საქმეებზე ჯერ გადაწყვეტილება არ იყო მიღებული. განცხადებაში მითითებულია:

> **საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის 2016 წლის 21 ივლისის განცხადების შემდეგ (რომელშიც ისაუბრა მოსამართლეებზე ზეწოლის ფაქტების ირგვლივ), საჭიროდ მიგვაჩნია, ე.წ. პოლიტიკური ნიშნის მატარებელ ყველა საქმეზე საკონსტიტუციო სასამართლო დაელოდოს საკითხის სრულყოფილად შესწავლას შესაბამისი ორგანოების მხრიდან და ამ საქმეების გადაწყვეტა მოხდეს მხოლოდ მას შემდეგ, როცა გადამოწმდება სათანადო ორგანოების მხრიდან სასამართლოს თავმჯდომარის განცხადებაში მოყვანილი ზეწოლის ფაქტების სინამდვილე, რათა გამოირიცხოს ყოველგვარი ეჭვი მოსამართლეების მიუკერძოებლობასა და ობიექტურობასთან დაკავშირებით".[4]**

2.5. კომენტარი ტელეკომპანია „რუსთავი 2"-ისა და ე.წ. „კაბელების" საქმის საკონსტიტუციო სასამართლოში განხილვის შესახებ

2016 წლის 10 ოქტომბერს საკონსტიტუციო სასამართლოს ახალარჩეულმა თავმჯდომარემ, ზაზა თავაძემ, ე.წ. „კაბელების", ტელეკომპანია „რუსთავი 2"-ისა და სხვა გახმაურებულ საქმეებზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების ვადებთან დაკავშირებით შემდეგი განცხადება გააკეთა:

> **ჩვენთვის ყველა საქმე არის ერთი და იგივე, იმდენად, რამდენადაც ადამიანის უფლებები და ძირითადი თავისუფლებები ჩვენთვის, განურჩევლად ყველა ადამიანისა, არის ერთი და იგივე. შესაბამისად, ჩვენ ვიმოქმედებთ კანონით დადგენილი წესით (ვადებთან მიმართებით) და ისე განხორციელდება კონსტიტუციური მართლმსაჯულება".[5]**

---

[3] ზაზა თავაძე – „ალბათ, პრეზიდენტი პარლამენტს უნდა აერჩია", ხელმისაწვდომია: https://bit.ly/33te6zS

[4] ხუთი მოსამართლის მიმართვა გიორგი პაპუაშვილს და რუსთავი 2-ის საქმე, ხელმისაწვდომია: https://netgazeti.ge/news/131911/

[5] ზაზა თავაძე მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის საქმეებზე: „ჩვენთვის ყველა საქმე არის ერთი და იგივე", ხელმისაწვდომია: https://netgazeti.ge/news/149221/

3. კანდიდატ ზაზა თავაძის გასაუბრება იუსტიციის უმაღლეს საბჭოში

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრის, ნაზი ჭანეზაშვილის შეკითხვა კანდიდატ ზაზა თავაძეს: **„არის თუ არა სისტემა იმგვარად ობიექტური, მიუკერძოებელი იუსტიციის უმაღლეს საბჭოში, რომ თქვენ მიმართ საბჭომ მიიღოს სამართლიანი გადაწყვეტილება? [...] გაქვთ თუ არა ნდობა ამ პროცესის მიმართ და რამდენად გამართულია მისი მომწესრიგებელი კანონმდებლობა?"**

მოსამართლე ზაზა თავაძის პასუხი:

ჩემს ჯადოსნურ ჯოხს მოვუხმობ ახლა. „საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ" ორგანული კანონის მუხლს ვგულისხმობ. ამ კითხვაზე, როგორც მოსამართლე, არ გაგცემთ პასუხს. თუ გაინტერესებთ რიგითი იურისტის პასუხი..."

ნაზი ჭანეზაშვილის დამატებითი შეკითხვა ზაზა თავაძეს: **„როცა კანდიდატი მოდის საბჭოში, ის არის კანდიდატი... მიმაჩნია, რომ მობრძანდით ისე, როგორც კანდიდატი, და არა როგორც საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე. ამიტომ, გისვამთ ამ შეკითხვას".**

მოსამართლე ზაზა თავაძის პასუხი:

მიუხედავად იმისა, რომ დღეს ვიმყოფები შვებულებაში და შეჩერებული მაქვს სამსახურებრივი უფლებამოსილება, მე არ ვარ ახლა საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილების გარეშე. შებოჭილი ვარ შესაბამისად. თუ ახლა შევაფასებ რომელიმე საკანონმდებლო აქტის ავკარგიანობას, შეიძლება ეს გახდეს აცილების საფუძველი, თუ ვინმე შემოიტანს სარჩელს ამ თემაზე. მე არ შემიძლია გიპასუხოთ, როგორც საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლემ".

ნაზი ჭანეზაშვილის შეკითხვა კანდიდატს: **„რა განსხვავებაა დამოუკიდებლობასა და მიუკერძოებლობას შორის და დღეისათვის ჩვენი სასამართლო თუ არის დამოუკიდებელი?"**

მოსამართლე ზაზა თავაძის პასუხი:

სასამართლოს დამოუკიდებლობა არის შეფასებითი კატეგორია. მე ძალიან ამაყად ვისაუბრე საკონსტიტუციო სასამართლოს რეიტინგსა და დამოუკიდებლობაზე. რა თქმა უნდა, ეს გამოწვეულია იმით, რომ მოსარჩელეების რაოდენობა გაიზარდა: თუ 2014 წლამდე გვქონდა ხუთი ან ათი სარჩელი და გადავხედავთ დინამიკას, უკვე ათეულობით სარჩელი გვაქვს. დომინოს პრინციპია – ერთი სარჩელი დააკმაყოფილა სასამართლომ, შემოვიდა მეორე სარჩელი და ა.შ. როცა ადამიანი ხედავს, რომ სარჩელი კმაყოფილდება, ამით აგროვებს სასამართლო მაღალ რეიტინგს. მზა ფორმულა, როგორ უნდა მოვიქცეთ, არ არსებობს, თუმცა, შეგვიძლია, რაც საკონსტიტუციო სასამართლოში გვქონდა, ის ფორმულა გადმოვიტანოთ".

ნაზი ჭანეზაშვილის შეკითხვა კანდიდატს: **„რამდენიმე წლის წინ მოხდა ინციდენტი, როდესაც საკონსტიტუციო სასამართლოს წინამორბედ თავმჯდომარეს სახლში ესროლეს კვერცხები. რამდენად ადეკვატური იყო სახელმწიფოს რეაგირება ამ ფაქტზე"?**

მოსამართლე ზაზა თავაძის პასუხი:

არაჯეროვანი. არა მხოლოდ თავმჯდომარე, არამედ თითოეული მოსამართლე უპირობოდ უნდა იყოს დაცული სახელმწიფოს მიერ და ამის კანონისმიერი გარანტიები არის ძალიან მაღალი".

ნაზი ჭანეზაშვილის შეკითხვა კანდიდატს: **„თქვენ მონაწილეობთ იმ კონკურსში, სადაც საბჭოს წევრის, ირაკლი შენგელიას ცოლის ძმა არის თქვენი კონკურენტი, ასევე თქვენი კონკურენტია თამარ ონიანის მოქმედი თუ ყოფილი მაზლი; ზაზა ხარებავას და ირაკლი შენგელიას ერთმანეთთან მეჯვარეობა აკავშირებთ. როგორია თქვენი დამოკიდებულება, განწყობა, არის თუ არა ეს ინტერესთა კონფლიქტი, გიქმნით დისკომფორტს? ან ხომ არ გექნებათ გარკვეული უსამართლობის განცდა, თუკი იუსტიციის საბჭო არ მიიღებს გადაწყვეტილებას თქვენ სასარგებლოდ“?**

მოსამართლე ზაზა თავაძის პასუხი:

> **ეს ფაქტები, რაც თქვენ ახლა აღწერეთ, ჩემთვის ცნობილი არ არის, თუმცა, გენდობით. ჩემი პასუხი იქნება შემდეგი: ნებისმიერი რეგულაციის დარღვევას ამა თუ იმ პირის მიერ (საუბარია საჯარო მოხელეზე) უნდა მიეცეს შესაბამისი რეაგირება. მე არა ვარ ის პირი, რომელმაც ამაზე რეაგირება უნდა მოახდინოს. მე ვარ კონკურსანტი, რომელიც მოვედი თქვენ წინაშე და ეს არის უკვე თქვენი გადასაწყვეტი, ვისი აცილება უნდა მომხდარიყო და ვისი - არა. ვის აქვს და არ აქვს ინტერესთა კონფლიქტი, ეს თქვენი გადასაწყვეტია, რაც კანონმდებლობით მონიჭებული გაქვთ თითოეულს“.**

იუსტიციის საბჭოს წევრის, სერგო მეთოფიშვილის შეკითხვა კანდიდატს: **„ნებისმიერი მოსამართლე შეიძლება დადგეს დილემის წინაშე, მიიღოს კანონიერი ან სამართლიანი გადაწყვეტილება. თქვენ რა ტიპის მოსამართლე ბრძანდებით, კანონიერს ირჩევთ თუ სამართლიანს“?**

მოსამართლე ზაზა თავაძის პასუხი:

> **სამართლიან გადაწყვეტილებას მივიღებდი a priori და, თუ მიღების პროცესში ეჭვი შემეპარებოდა, წარდგინებით მივმართავდი საკონსტიტუციო სასამართლოს და მას შევაფასებინებდი, რამდენად შეესაბამებოდა ის კანონი კონსტიტუციას“.**

სერგო მეთოფიშვილის შეკითხვა კანდიდატს: **„ვინ წყვეტს უცხო ქვეყნის სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების ცნობა-აღსრულების საკითხს?“**

მოსამართლე ზაზა თავაძის პასუხი:

> **თუ არ ვცდები, იუსტიციის სამინისტროში იყო ამის შესაბამისი რეგულაციები. არ ვარ დარწმუნებული, დიდი ბოდიში“.[5]**

იუსტიციის საბჭოს წევრის, ირაკლი ბონდარენკოს შეკითხვა კანდიდატს: **„უზენაეს სასამართლოს მიღებული აქვს გადაწყვეტილება ფარული ჩანაწერის გზით მოპოვებულ მტკიცებულებასთან დაკავშირებით და თქვა, რომ ფარული ჩანაწერი, როგორც მტკიცებულება, არ შეიძლება გამოდგეს კონკრეტული ფაქტის დადასტურების ან უარყოფისთვის. კონსტიტუციურ ჭრილში, რამდენად შესაძლებელია ასეთი ფარული ჩანაწერის გამოყენება უფლების დარღვევის დადასტურების კუთხით (როგორც მტკიცებულება) და კონკრეტული ფაქტის მტკიცების მიმართულებით“?**

მოსამართლე ზაზა თავაძის პასუხი:

---

[6] ზაზა თავაძის მიერ პასუხის გაცემის შემდგომ, საბჭოს წევრმა სერგო მეთოფიშვილმა დააკონკრეტა, რომ ეს უფლებამოსილება აქვს საქართველოს უზენაეს სასამართლოს.

ეს ის შემთხვევაა, როდესაც კიდევ ერთხელ უნდა შევიკავო თავი. თუ მომეცემა საშუალება, რომ გავხდები უზენაესი სასამართლოს მოსამართლე და მივალ ამ საქმემდე, შეიძლება შემდეგ ვიფიქრო მისი კონკრეტული გადაწყვეტისას ერთი მოსამართლის მიერ განსახორციელებელ ღონისძიებაზე".

5

გასაუბრების ეტაპზე, ზურაბ ადეიშვილთან ურთიერთობასთან დაკავშირებით კანდიდატმა აღნიშნა, რომ გენერალურ პროკურატურაში სამუშაოდ მისვლისას მას არ იცნობდა:

ადეიშვილს არ ვიცნობდი, ის არ იყო ჩემთვის ცნობილი პიროვნება, როდესაც მოვხვდი პროკურატურაში. აქვე ვიტყვი, რომ გავლილი მაქვს ყველა თანამდებობა. არცერთი ჩემი თანამდებობა, ზესტაფონის გამგეობის რიგითი იურისტით და იუსტიციის სამინისტროს მრჩევლით დაწყებული და იუსტიციის მინისტრის მოადგილით დამთავრებული, არ მომიპოვებია კონკურსისა და კონკურენციის გარეშე".

კანდიდატმა დამატებით განმარტა თავისი ვალდებულებები, როცა 2004 წელს დაინიშნა საკადრო უზრუნველყოფის დეპარტამენტის უფროსის მოადგილედ:

ჩემი ექსკლუზიური ვალდებულება იყო, რომ წარმომედგინა პროკურატურა საერთო სასამართლოებში. ეს იყო ჩემი კარიერული წინსვლის მთავარი ქვაკუთხედი. ადეიშვილს არ ვიცნობდი. პირველი ინსტანციის მოსამართლეებმა, როდესაც ნახეს, როგორი წარმომადგენელი ვიყავი, შემდეგ შეხვედრებსა და ღონისძიებებზე პროკურორთან თქვეს: „რა კარგი წარმომადგენელი ჰყავს პროკურატურას". მეორე ინსტანციის სასამართლომაც იგივე თქვა, მესამე ინსტანციის სასამართლომაც. ზუსტად ამან გამოიწვია შემდეგ ის, რომ ადეიშვილმა დაინახა ჩემი პროფესიონალიზმი და დამნიშნა კადრების უფროსად. ამის შემდეგ კიდევ უფრო დავწინაურდი და გავხდი იუსტიციის მინისტრის მოადგილე. 2010 წელს, ვფიქრობ, გამიმართლა და აღმოვჩნდი საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლე".

ზურაბ ადეიშვილთან დაკავშირებით კანდიდატმა დამატებით აღნიშნა, რომ მათ ჰქონდათ ხელმძღვანელისა და დაქვემდებარებული პირის ურთიერთობა და ადეიშვილი მას მიიჩნევდა კარგი იურისტად და პროფესიონალად.

ნაზი ჭანეზაშვილის შეკითხვა კანდიდატს: **„რატომ წამოხვედით იუსტიციის მინისტრის მოადგილეობიდან და როგორ გახდით საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლე (მაგ.: ვინ იყო თქვენი რეკომენდატორი)?"**

მოსამართლე ზაზა თავაძის პასუხი:

როგორც მოგეხსენებათ, საკონსტიტუციო სასამართლოში მოსამართლეები ასე ადვილად ვერ ხდებიან. როდესაც ვაკანტური გახდა საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლის ვაკანსია, ბატონი კუბლაშვილი განიხილავდა რამდენიმე კანდიდატურას, მათ შორის, ერთ-ერთი იყო ჩემი. მოხდა ჩემი ნომინირება პლენუმის წინაშე და პლენუმმა 2010 წელს გამამწესა საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლედ. მახსენდება მათი სიტყვები: „ჩვენი კვოტით ვაგზავნით ერთ-ერთ კარგ იურისტს, რომელიც წარმატებით განახორციელებს კონსტიტუციურ კონტროლს". არანაირი დაპირისპირება ადეიშვილთან არ მქონდა, წარმატებები მისურვა".

6. კანდიდატის ფინანსური ვალდებულებები და შემოსავლები

1. ქონება (უძრავი/მოძრავი)

2019
405 000 ₾
135,70 კვ.მ.

2018
ხის კოტეჯი
40 000 ₾
146,22 კვ.მ.

2018
მიწის ნაკვეთი
285 921 ₾
846 კვ.მ.

2017
მიწის ნაკვეთი
13 500 ₾
100 კვ.მ.

2017
მიწის ნაკვეთი
–
2 200 კვ.მ.
1 800 კვ.მ.
700 კვ.მ.
300 კვ.მ.

2009
სარდაფი
–
15,4 კვ.მ.

2009
სარდაფი
–
20,6 კვ.მ.

2. ფინანსები

კანდიდატი ზაზა თავაძე საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე მაღალშემოსავლიანი მოსამართლეა. 2010-2018 წლებში მისმა ანაზღაურებამ თითქმის მილიონ ლარს მიაღწია. ყველაზე მაღალი ხელფასი 2017 წელს უფიქსირდება - ჯამში, 138,484 ლარი. კანდიდატის გამოკვეთილად მაღალი ანაზღაურება მედიის ყურადღების საგანი არაერთხელ გახდა, მათ შორის, 2016 წელსაც, როდესაც 2 თვეში ხელფასის სახით 37,478 ლარი მიიღო.

უკანასკნელი მონაცემების თანახმად, კანდიდატს ორი მიმდინარე სესხი აქვს „საქართველოს ბანკში“, რომლის ჯამური ოდენობაც 257,000 ლარია.



- 2010 წელს ზაზა თავაძე საკონსტიტუციო სასამართლოს წევრი გახდა და სახელმწიფოსგან ბათუმში ბინა სიმბოლურ ფასად მიიღო. 2016 წელს მან აღნიშნული ბინა, სავარაუდოდ, მეუღლის ძმის სიდედრს, ირმა ირემაძეს 250,000 აშშ დოლარად მიჰყიდა. ამ ბინის შეძენამდე, რომელიც ნახევარ მილიონ ლარზე მეტი დაჯდა, ქალბატონ ირმა ირემაძეს რაიმე ტიპის მნიშვნელოვანი ქონება არ უფიქსირდება: მის სახელზე რეგისტრირებული იყო მხოლოდ მემკვიდრეობით გადმოცემული ბინა (2006 წ.). ეჭვებს აჩენს ის გარემოებაც, რომ ირმა ირემაძემ, შეძენიდან რამდენიმე დღეში, უძრავი ქონება ვინმე ტატიანა ოსოტოვაზე გაასხვისა. მხარეებს შორის ნასყიდობის შეთანხმების პირობები უცნობია.

უცნაურია ისიც, რომ რომ ბათუმის ბინის გასხვისების შემდეგ, მოსამართლე ზაზა თავაძე და მისი ოჯახი კვლავ იმავე სახლში ცხოვრობდნენ. ერთ-ერთ მედიასაშუალებასთან საუბრისას კანდიდატის მეუღლემ აღნიშნა, რომ მათ ორივე ახალ მფლობელთან ჰქონდათ შეთანხმება, რომლის თანახმადაც გაყიდულ ბინაში ცხოვრების გაგრძელება შეეძლოთ. უკანასკნელ წლებში, აღნიშნული უძრავი ქონება კიდევ რამდენჯერმე გაიყიდა.

- მოსამართლე ზაზა თავაძის მეუღლე, ქალბატონი თეა ძოწენიძე, 2017 წლიდან სპეციალისტად მუშაობს საქართველოს განათლების სამინისტროში და ხელფასის სახით, ყოველთვიურად, იღებს 910 ლარს. პარალელურად, მის ანაბარსა და დანაზოგზე რამდენიმე ასეული ათასი ლარი იყრის თავს. საჯარო წყაროებზე დაფუძნებული მონაცემებით ვერ დგინდება, საიდან შეიძლება მოეგროვებინა კანდიდატის მეუღლეს ამ რაოდენობის თანხა.

დანაზოგი



2019 წელს შევსებული ქონებრივი დეკლარაციის მიხედვით, მოსამართლე ზაზა თავაძის შემოსავალსა და გასავალს შორის მნიშვნელოვანი დისბალანსი ფიქსირდება. კერძოდ, კანდიდატმა წლის განმავლობაში მიიღო 117,648 ლარი, რასაც ემატება წინა წლის დანაზოგი – 17,162 ლარი, ხოლო ხარჯმა 470,702 ლარი შეადგინა. გაწეულ ხარჯებში შედის: მიწის ნაკვეთის შეძენა, სახლის მშენებლობის დაწყება, სასესხო მომსახურებისა და შვილების სწავლის საფასურის გადახდა. საბოლოო ჯამში, შემოსავალსა და გასავალს შორის უარყოფითი ბალანსი 335,857 ლარს უტოლდება, რაც დაუზუსტებელია, საიდან ანაზღაურდა. სავარაუდოდ, ამ ხარჯების დასაფარად არც მეუღლის დანაზოგები გამოყენებულა, ვინაიდან ქალბატონი თეა ძოწენიძის ანგარიშზე, თანხის კლების ნაცვლად, მატების ტენდენცია ფიქსირდება.

ავტორები: ედუარდ მარიკაშვილი, ანა ნაცვლიშვილი, გიორგი ბერაია, ირაკლი გვარამაძე, ზაზა აბაშიძე

რედაქტორები: დავით პაიჭაძე, გიორგი ჩიტიძე, სოფიო ასათიანი, ინა გრიგალაშვილი დიზაინი: ბესიკ დანელია

ფონდი დოკუმენტის მომზადებაში შეტანილი წვლილისთვის მადლობას უხდის:
სალომე კვირიკაშვილს, მარიამ ორჟონიას, ლაშა ჯუღელს, თინათინ ჭაჭუკაშვილს, გვანცა კახიძეს, თეონა ბაბუციძეს, ხატია ნიკოლაიშვილსა და შოთა ქობალიას

მომზადებულია საქართველოს ღია საზოგადოების ფონდის მიერ